# თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
## №1

ქ. ქუთაისი 14 ნოემბერი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | |
|---|---|
| თენგიზ თოფურიძე | – ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე. |
| ზურაბ გაბიძაშვილი | –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. |
| ზურაბ ზამბახიძე | – ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი. |
| ანდრო მარჯანიშვილი | - ქალაქ ქუთაისის მერიის ქალაქდაგეგმარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი. |
| ირაკლი გიორგაძე | – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი. |

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :** კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ზოგიერთ ქუჩებზე ღვარსადენის ქსელის და გზის საფარის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (საკონკურსო წინადადების თანხა 9500 ლარი დღგ-ს ჩათვლით) შესახებ.

**მოისმინეს:** საკონკურსო კომისიის წევრმა ზურაბ ზამბახიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის - ქალაქ ქუთაისში ზოგიერთ ქუჩებზე ღვარსადენის ქსელის და გზის საფარის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (საკონკურსო წინადადების თანხა 9500 ლარი დღგ-ს ჩათვლით) შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: თენგიზ თოფურიძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა.
კომისიის წევრმა: ანდრო მარჯანიშვილმა.

**დაადგინეს:**

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში თომაშვილის ქუჩაზე დარჩენილ მოუპირკეთებელ ტერიტორიაზე, ტროტუარებისა და მწვანე საფარის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2013 წლის 20 ნოემბერს 12:00 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2013 წლის 20 ნოემბრის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: თენგიზ თოფურიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ გაბიძაშვილი

კომისიის წევრები:

ზურაბ ზამბახიძე

ანდრო მარჯანიშვილი

ირაკლი გიორგაძე